

**სსბასს 20—დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი  
შენიშვნები**

**გამომცემლისაგან**

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს (ბასს) 24-ს (შესწორებული 1994), *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნებს*. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) მიერ მომზადებულ წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ამონარიდები ბასს 24-იდან გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში, შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: [publications@ifrs.org](mailto:publications@ifrs.org)

ვებ-გვერდი: [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

## სსბასს 20—დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

### სსბასს-ის ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 20, დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები, გამოცემულ იქნა 2002 წლის ოქტომბერში.

მას შემდეგ სსბასს 20 შეიცვალა შემდეგი სსბასს-ების შესაბამისად:

- სსბასს 39, დაქირავებულთა სარგებელი (2016 წლის ივლისის გამოცემა)
- სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)
- სსბასს-ების გაუმჯობესება 2015 (2016 წლის აპრილის გამოცემა)
- სსბასს 37, ერთობლივი შეთანხმებები (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 35, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 33, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება, (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს-ების გაუმჯობესება (2010 წლის ნოემბრის გამოცემა)

### სსბასს 20-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
2	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
3	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
4	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
15	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
24	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
27	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
32	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
33	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
38	შეცვლილია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
42ა	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
42ბ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს 35. 2015 წლის იანვარი
42გ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
42დ	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
42ე	დამატებულია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
43	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსზასს 20—დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი  
შენიშვნები

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	
მოქმედების სფერო .....	1–3
განმარტებები .....	4–17
ფიზიკური პირის ოჯახის ახლო წევრები და ახლო ნათესავები.....	5
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა .....	6–9
დაკავშირებული მხარეები .....	10–15
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება .....	16
ხმის მიცემის უფლებამოსილება .....	17
დაკავშირებულ მხარეთა საკითხები.....	18–21
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება.....	21
არსებითობა .....	22
განმარტებითი შენიშვნები .....	23–41
კონტროლის გამჟღავნება .....	25–26
დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების გამჟღავნება .....	27–33
გამჟღავნება - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა .....	34–41
ძალაში შესვლის თარიღი .....	42–43
მითითებები დანერგვაზე	
ბასს 24-თან შედარება	

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 20 - დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები - მოცემულია მიზანსა და 1-43 პუნქტებში. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 20 აღქმულ უნდა იქნეს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებსა და შეცდომები - წარმოადგენს საფუძველს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენებისათვის, დეტალური მითითებების არარსებობის შემთხვევაში.

## მიზანი

მოცემული სტანდარტის მიზანია, კონტროლის არსებობის პირობებში, დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განმარტებების მოთხოვნა და ერთეულსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღება. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა საანგარიშგებო მიზნებისათვის და ანგარიშგები ერთეულის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების წარმოდგენის უკეთესი გაგებისთვის. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებია: (ა) იდენტიფიცირება იმისა, თუ რომელი მხარეები აკონტროლებენ ანგარიშგებ ერთეულს ან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მათზე, და (ბ) განსაზღვრა იმისა, თუ რა ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს ამ მხარეებს შორის ოპერაციებთან დაკავშირებით.

## მოქმედების სფერო

- ერთეულმა, რომელიც ამზადებს და წარმოდგენს ფინანსურ ანგარიშგებებს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ეს სტანდარტი უნდა გამოიყენოს იმ ინფორმაციის განმარტებისთვის, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებს და გარკვეულ ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან.
- [ამოღებულია]
- [ამოღებულია]

## განმარტებები

- წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ფიზიკური პირის ოჯახის ახლო წევრები არიან ფიზიკური პირის ახლო ნათესავები, ან მისი უშუალო ოჯახის ახლო წევრები, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინონ, ან აღმოჩნდნენ ამ ფიზიკური პირის ზეგავლენის ქვეშ ერთეულთან ურთიერთობებისას.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა:

- (ა) ყველა დირექტორი ან ერთეულის მმართველი ორგანოს წევრები;
- (ბ) სხვა ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ ანგარიშის წარმომდგენი ერთეულის საქმიანობის დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილება და მოვალეობა. თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმს, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს:
  - (i) ერთეულის მმართველი ორგანოს წევრს, რომელსაც გააჩნია ერთეულის აქტივობების დაგეგმვის,

ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილება და მოვალეობა;

- (ii) ზემოაღნიშნული წევრების ნებისმიერ წამყვან მრჩეველს; და
- (iii) თუ უკვე არ შედის „ა“ პუნქტში, ანგარიშვალდებული ერთეულის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ჯგუფი, მათ შორის ანგარიშვალდებული ერთეულის მთავარი აღმასრულებელი ან მუდმივი ხელმძღვანელი.

ზედამხედველობა ნიშნავს ერთეულის აქტივობების ზედამხედველობას, კონტროლის უფლებამოსილებითა და მოვალეობით, ან მნიშვნელოვანი გავლენის ქონას ერთეულის ფინანსურ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე.

დაკავშირებული მხარე ნიშნავს, რომ მხარეები მიჩნეულია დაკავშირებულად, როდესაც ერთ მხარეს აქვს საშუალება: (ა) აკონტროლოს მეორე მხარე ან (ბ) გამოიყენოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ან, როდესაც ერთეულის დაკავშირებული მხარე და სხვა ერთეული არის საერთო კონტროლის ქვეშ. დაკავშირებული მხარეები მოიცავს:

- (ა) ერთეულებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან უფრო მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლებულია ანგარიშმგები ერთეულის მიერ;
- (ბ) მეკავშირე ერთეულები (იხ. სსბასს 36 - *ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებში და ერთობლივ საქმიანობაში*);
- (გ) პირები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ პროცენტს ანგარიშმგებ ერთეულში, რომელიც ერთეულზე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას და ნებისმიერი ამგვარი პირის ოჯახის ახლო წევრები;
- (დ) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრები; და
- (ე) ერთეულები, სადაც ნებისმიერი პირი, რომელიც აღწერილია „გ“ და „დ“ პუნქტებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს ან, სადაც ასეთ პირს საშუალება აქვს, გამოიყენოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსებისა და ვალდებულებების გადაცემა დაკავშირებულ მხარეებს შორის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ღირებულება გადახდილი. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები არ გულისხმობს ოპერაციებს სხვა ნებისმიერ ერთეულთან, რომელიც დაკავშირებული მხარეა მხოლოდ ანგარიშვალდებულ ერთეულზე, მისი ეკონომიკური

დამოკიდებულების გამო ან ეკონომიკური დამოკიდებულების გამო, იმ სამთავრობო ერთეულზე, რომლის შემადგენელ ნაწილსაც იგი წარმოადგენს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება არის ნებისმიერი საზღაური ან გასამრჯელო, რომელიც მიღებულია პირდაპირ ან არაპირდაპირ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშშემგები ერთეულისათვის გაწეული მომსახურებისათვის, რაც უკავშირდება მმართველი ორგანოს წევრობას, ან ანგარიშშემგები ერთეულში სამსახურს.

მნიშვნელოვანი ზეგავლენა (ამ სტანდარტის მიზნებისათვის) არის ერთეულის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილება, მაგრამ არა ამგვარი პოლიტიკის კონტროლი. მნიშვნელოვანი ზეგავლენა შესაძლოა განხორციელდეს რამდენიმე გზით, როგორც წესი, დირექტორთა საბჭოში ან მსგავს მმართველ ორგანოში წარმომადგენლობით, ასევე, მაგალითად: (ა) პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობით; (ბ) ერთი ეკონომიკური ერთეულის ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ერთეულებს შორის განხორციელებულ მნიშვნელოვან ოპერაციებში მონაწილეობით, (გ) მმართველი პერსონალის გაცვლაში მონაწილეობით ან (დ) ტექნიკურ ინფორმაციაზე დამოკიდებულებით. მნიშვნელოვანი ზეგავლენა შესაძლოა მოპოვებულ იქნეს საკუთრებაში წილით, წესდებით ან ხელშეკრულებით. საკუთრების წილის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა იგულისხმება, სსბასს 36 -ის განმარტებების შესაბამისად.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

## პირის ოჯახის ახლო წევრი და ახლო ნათესავები

- აუცილებელია შეფასება იმის განსაზღვრისთვის, უნდა იყოს თუ არა ფიზიკური პირი იდენტიფიცირებული როგორც პირის ოჯახის ახლო წევრი ამ სტანდარტის მიზნებისათვის. საწინააღმდეგო ინფორმაციის არქონის დროს, მაგალითად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეუღლე ან სხვა ნათესავი ჩამომორებულია კონკრეტულ ფიზიკურ პირს, ოჯახის ახლო შემდეგი უშუალო წევრები და ახლო ნათესავები ჩათვლებიან, როგორც ამგვარი გავლენის მქონენი ან გავლენის ობიექტები, რათა დააკმაყოფილონ ოჯახის ახლო წევრის დეფინიცია:

- (ა) მეუღლე, პარტნიორი, კმაყოფაზე მყოფი ბავშვი ან ნათესავი მცხოვრები საერთო ოჯახში;

- (ბ) ბაბუა-ბებია, მშობელი, კმაყოფაზე არმყოფი ბავშვი, შვილიშვილი, ძმა ან და; და
- (გ) შვილის მეუღლე ან პარტნიორი, სიდედრი, სიმამრი, დედამთილი, მამამთილი, სიძე, რძალი.

### **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა**

6. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს ანგარიშმგები ერთეულის ყველა დირექტორს ან მმართველი ორგანოს წევრებს, სადაც აღნიშნულ ორგანოს უფლებამოსილება და ვალდებულება აქვს ერთეულის აქტივობების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის მხრივ. ერთიანი მმართველობის დონეზე, მმართველი ორგანო შეიძლება შედგებოდეს არჩეული ან დანიშნული წარმომადგენლებისგან (მაგალითად, პრეზიდენტი ან გუბერნატორი, მინისტრები, საბჭოები და მუნიციპალიტეტის წევრები ან მათი კანდიდატები).
7. იქ, სადაც ერთეულზე ზედამხედველობა ხორციელდება იმ მთავრობის მმართველი ორგანოს არჩეული ან დანიშნული წარმომადგენლის მიერ, რომელსაც ერთეული მიეკუთვნება, პირი შედის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში, თუ ზედამხედველობის ფუნქცია მოიცავს ერთეულების აქტივობების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილებას და მოვალეობას. მრავალ იურისდიქციაში ამ პიროვნების ძირითადი მრჩეველები შესაძლოა არ ფლობდნენ საკმარის სამართლებრივ ან სხვა უფლებამოსილებას, რათა დააკმაყოფილონ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის დეფინიცია. სხვა იურისდიქციაში პირის ძირითადი მრჩეველები შესაძლოა მიჩნეულ იქნენ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობად, რადგან მათ აქვთ განსაკუთრებული სამუშაო ურთიერთობა პირთან, რომელსაც კონტროლი აქვს ერთეულზე. ანუ, მათ აქვთ წვდომა პრივილეგიურ ინფორმაციაზე და შესაძლოა განახორციელონ კონტროლი ან მნიშვნელოვანი ზეგავლენა ერთეულზე. განსჯა მოითხოვება იმის შესაფასებლად, არის თუ არა ინდივიდი ძირითადი მრჩეველი, აკმაყოფილებს თუ არა ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის განმარტებას, თუ არის დაკავშირებული მხარე.
8. მმართველ ორგანოს მთავარ აღმასრულებელ და უფროს მმართველ ჯგუფთან ერთად, უფლებამოსილება და ვალდებულება აქვს, დაგეგმოს და გააკონტროლოს ერთეულის აქტივობები, მართოს ერთეულის რესურსები ერთეულის მიზნების მისაღწევად. ამგვარად, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს ანგარიშმგები ერთეულის აღმასრულებელ დირექტორს და უფროს მმართველ ჯგუფს. ზოგიერთ იურისდიქციაში საჯარო მოხელეებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი უფლებამოსილება და ვალდებულება, რათა მიჩნეულ იქნენ ანგარიშმგები ერთეულის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებად (როგორც ამ სტანდარტის მიერ არის განსაზღვრული). ასეთ შემთხვევებში, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგება მხოლოდ

მმართველი ორგანოს იმ არჩეული წევრებისაგან, რომელთაც მართვაზე ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ; ხშირად ამ პირებს მინისტრთა კაბინეტს უწოდებენ.

9. ეკონომიკური ერთეულის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შესაძლოა მოიცავდეს პირებს როგორც მაკონტროლებელი ერთეულიდან, ისე სხვა ერთეულებიდან, რომლებიც კოლექტიურად აყალიბებენ ეკონომიკურ ერთეულს.

### **დაკავშირებული მხარეები**

10. ყველა შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება მიმართულია ურთიერთობის შინაარსსა და არა უბრალოდ სამართლებრივ ფორმაზე.
11. სადაც ორ ერთეულს ჰყავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის საერთო წევრი, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შესაძლებლობა და შეფასდეს იმის ალბათობა, რომ ამ პიროვნებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ორივე ერთეულის პოლიტიკაზე, ერთობლივი შეთანხმების დროს. თუმცა, მხოლოდ ფაქტი, რომ არსებობს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის საერთო წევრი, აუცილებლად არ ქმნის დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობას.
12. ამ სტანდარტის მიხედვით, დაკავშირებულ მხარედ არ არის მიჩნეული:
  - (ა) (i) ფინანსური რესურსების მიმწოდებლები მათი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.
  - (ii) პროფკავშირები, ერთეულთან მათი ჩვეულებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მხოლოდ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე (თუმცა მათ შეუძლიათ, შეზღუდონ ერთეულის მოქმედების თავისუფლება, ან მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში); და
  - (ბ) ერთეული, რომელთანაც ურთიერთობა აქვს მხოლოდ როგორც აგენტთან.
13. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობა შესაძლოა აღმოცენდეს, როდესაც პირი არის მმართველი ორგანოს წევრი ან ჩართულია ანგარიშგებები ერთეულის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებაში. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობა შესაძლოა აგრეთვე აღმოცენდეს საგარეო ოპერაციული ურთიერთობების შედეგად ანგარიშგებ ერთეულსა და დაკავშირებულ მხარეს შორის. ხშირად ამგვარი ურთიერთობები შესაძლოა შეიცავდეს ეკონომიკური დამოკიდებულების ელემენტს.

14. ეკონომიკური დამოკიდებულება, როდესაც ერთი ერთეული დამოკიდებულია მეორეზე, რადგან პირველი ეყრდნობა მეორეს, მისი დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის ან მისი საქონლისა და მომსახურების გაყიდვის გამო, თავისთავად ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასრულდეს კონტროლით ან მნიშვნელოვანი ზეგავლენით და, შესაბამისად, საფუძველი დაუდოს დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობას. როგორც ასეთი, ერთი მომხმარებელი, მიმწოდებელი, ფრენჩაიზერი, დისტრიბუტორი ან ზოგადი აგენტი, რომლის მეშვეობითაც ერთეული საქმიანობის მნიშვნელოვანი მოცულობის ოპერაციას განახორციელებს, არ იქნება დაკავშირებული მხარე, მხოლოდ ეკონომიკური დამოკიდებულების შედეგის გამო. თუმცა, ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა წარმოქმნას მნიშვნელოვანი ზეგავლენა და, შესაბამისად, დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობა. საჭიროა მსჯელობა ეკონომიკური დამოკიდებულების ურთიერთობაზე ზეგავლენის შესაფასებლად. როდესაც ანგარიშვალდებული ერთეული ეკონომიკურად დამოკიდებულია სხვა ერთეულზე, ანგარიშმგებმა ერთეულმა მიზანშეწონილია, განმარტოს ამ დამოკიდებულების არსებობა.
15. დაკავშირებული მხარის ცნება გულისხმობს ერთეულს, რომელიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის, ასეთი ინდივიდის ოჯახის ახლო წევრების ან ანგარიშმგები ერთეულის ძირითადი მეწილეების (ან ეკვივალენტურს, როდესაც ერთეულს არა აქვს ფორმალური კაპიტალის სტრუქტურა) საკუთრებაშია. დაკავშირებული მხარის ცნება ასევე მოიცავს ისეთ გარემოებებს, როდესაც ერთ მხარეს შეუძლია ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეორე მხარეზე. საჯარო სექტორში პირს ან ერთეულს შესაძლოა ჰქონდეს ანგარიშმგებ ერთეულზე ზედამხედველობის ვალდებულება, რაც მას მნიშვნელოვან გავლენას აძლევს ერთეულის ფინანსურ და ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ არა მათი კონტროლის უფლებამოსილებას. მოცემული სტანდარტის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს ერთეულებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ექვემდებარება.

### **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება**

16. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა იღებს იმ ანაზღაურებას, რომელიც მოპოვებულია პირის მიერ ანგარიშმგები ერთეულიდან იმ მომსახურებისათვის, რომელიც გაწეულია ანგარიშმგები ერთეულისათვის ამ ფიზიკური პირების, როგორც მმართველი ორგანოს წევრების ან თანამშრომლების მიერ. ერთეულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებული სარგებელი, რომელიც უკავშირდება ნებისმიერი სტატუსით გაწეულ მომსახურებას, გარდა თანამშრომლის ან მმართველი ორგანოს წევრის სტატუსისა, არ შეესაბამება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების დეფინიციას ამ სტანდარტის მიზნებისათვის. თუმცა, 34-ე პუნქტი მოითხოვს განმარტებითი

შენიშვნის გაკეთებას სხვა სარგებელთან დაკავშირებით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება არ მოიცავს რაიმე ანაზღაურებას, რომელიც პირის მიერ მხოლოდ ანგარიშშემგები ერთეულის სასარგებლოდ გაწეული დანახარჯის ასანაზღაურებლად არის გადახდილი, მაგალითად საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურება, სამსახურებრივი მივლინების შემთხვევაში.

### **ხმის მიცემის უფლება**

17. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა იღებს იმ ანაზღაურებას, რომელიც მოპოვებულია პირის მიერ ანგარიშშემგები ერთეულიდან იმ მომსახურებისათვის, რომელიც გაწეულია ანგარიშშემგები ერთეულისათვის ამ ფიზიკური პირების, როგორც მმართველი ორგანოს წევრების ან თანამშრომლების მიერ. ერთეულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებული სარგებელი, რომელიც უკავშირდება ნებისმიერი სტატუსით გაწეულ მომსახურებას, გარდა თანამშრომლის ან მმართველი ორგანოს წევრის სტატუსისა, არ შეესაბამება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების დეფინიციას ამ სტანდარტის მიზნებისათვის. თუმცა, 34-ე პუნქტი მოითხოვს განმარტებითი შენიშვნის გაკეთებას სხვა სარგებელთან დაკავშირებით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება არ მოიცავს რაიმე ანაზღაურებას, რომელიც პირის მიერ მხოლოდ ანგარიშვალდებული ერთეულის სასარგებლოდ გაწეული დანახარჯის ასანაზღაურებლად არის გადახდილი, მაგალითად საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურება, სამსახურებრივი მივლინების შემთხვევაში.

### **დაკავშირებულ მხარეთა საკითხი**

18. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები არსებობს მთელი საჯარო სექტორის ფარგლებში, ვინაიდან:
- (ა) ადმინისტრაციული ერთეულები ექვემდებარება ადმინისტრაციული ხელისუფლების და, უმთავრესად, პარლამენტის ან იმ მსგავსი ორგანოს ხელმძღვანელობას, რომელიც არჩეული ან დანიშნული თანამდებობის პირებისაგან შედგება და ერთობლივად ფუნქციონირებს მთავრობის პოლიტიკის გასატარებლად;
  - (ბ) სამთავრობო დეპარტამენტები და უწყებები ხშირად აქტიურობენ თავიანთი მოვალეობების სხვადასხვა კომპონენტების შესასრულებლად და მიზნების მისაღწევად, სხვადასხვა კონტროლირებული ერთეულებისა და იმ ერთეულების მეშვეობით, რომლებზეც მათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნიათ; და
  - (გ) მინისტრებს ან მთავრობის სხვა არჩეულ ან დანიშნულ წევრებს და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ჯგუფის

წევრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიონ დეპარტამენტის ან უწყების საქმიანობაზე.

19. ანგარიშგების მიზნებისათვის, აუცილებელია განმარტებითი შენიშვნების გაკეთება, დაკავშირებული მხარის გარკვეული ურთიერთობებისა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებსა და ურთიერთობების შესახებ, რომლებიც ეხება ამ ოპერაციებს. ეს განმარტებები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს უკეთესად გაიგონ ანგარიშგები ერთეულის ფინანსური ანგარიშგება, რადგან:

- (ა) დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს იმ მეთოდზე, რომლითაც ერთეული ოპერირებს სხვა ერთეულებთან ერთად ინდივიდუალური მიზნების მისაღწევად და მეთოდზე, რომლითაც თანამშრომლობს სხვა ერთეულთან საერთო ან კოლექტიური მიზნების მისაღწევად;
- (ბ) დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებმა შესაძლოა ერთეული დააყენოს რისკის წინაშე ან წარმოქმნას შესაძლებლობები, რომლებსაც ადგილი არ ექნებოდა ურთიერთობების არარსებობის დროს, და
- (გ) დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა განახორციელონ ოპერაციები, რომელშიც არადაკავშირებული მხარე არ შევიდოდა ან დაეთანხმონ ოპერაციებს პირობებითა და გარემოებებით, რომლებიც განსხვავდება იმ პირობებისა და გარემოებებისაგან, რომლებიც არადაკავშირებული მხარისათვის იქნებოდა ხელმისაწვდომი. აღნიშნული ხშირად თავს იჩენს სამთავრობო დეპარტამენტებსა და უწყებებში, სადაც საქონელი და მომსახურება დეპარტამენტებს შორის გადაიცემა ნაკლები ფასით, ვიდრე მისი თვითღირებულებაა, როგორც ჩვეულებრივი ოპერაციის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ანგარიშგები ერთეულისა და მთავრობის მიზნების მიღწევას. მთავრობა და საჯარო სექტორის ინდივიდუალური ერთეულები მოსალოდნელია, რომ რესურსებს რაციონალურად, ეფექტურად და განსაზღვრული წესით გამოიყენებენ და საჯარო ფულად თანხებთან დაკავშირებულ საკითხებს გადაწყვიტენ მაქსიმალურად სანდოდ. დაკავშირებული მხარის ურთიერთობების არსებობა ნიშნავს, რომ ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის აქტივობებზე. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა, რომ ოპერაციები განხორციელდეს იმ საფუძველზე, რომელიც ერთ მხარეს მიანიჭებს არასათანადო უპირატესობას, მეორე მხარესთან შედარებით.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების განმარტებითი შენიშვნები, მომხმარებლებს ოპერაციების პირობებსა და ტიპებზე საშუალებას

აძლევს, შეფასდეს ოპერაციების ზეგავლენა ფინანსურ მდგომარეობასა და ერთეულის საქმიანობის შედეგებზე და ასევე მისი უნარი, მიაწოდოს შეთანხმებული მომსახურება. ეს განმარტებითი შენიშვნები აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ ერთეული გამჭვირვალედ იმოქმედებს თავისი შეთანხმებების დაცვისთვის, დაკავშირებულ მხარესთან მიმართებით.

## **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება**

21. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას ერთეულში საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავია. ისინი პასუხისმგებელი არიან ერთეულის სტრატეგიულ მიმართულებასა და საოპერაციო მმართველობაზე და აღჭურვილნი არიან მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით. მათი ხელფასები ხშირად განსაზღვრულია კანონით ან დამოუკიდებელი კომისიის ან ანგარიშგები ერთეულისაგან დამოუკიდებელი სხვა ორგანოს მიერ. მიუხედავად ამისა, მათი მოვალეობები შესაძლოა მათ უფლებას აძლევდეს, რომ ზეგავლენა მოახდინონ იმ სარგებელზე, რომელსაც ისინი ან მათი დაკავშირებული მხარე იღებს. წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს გარკვეულ განმარტებით შენიშვნებს, რომელიც უნდა გაკეთდეს: (ა) საანგარიშო პერიოდში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისა და მათი ოჯახის ახლო წევრების ანაზღაურების, (ბ) მათთვის გაცემული სესხებისა, და (გ) მათ მიერ მიღებული საზღაურის შესახებ, რომელიც გაცემულია იმ მომსახურებისთვის, რომელსაც ისინი უზრუნველყოფდნენ ერთეულისათვის სხვა რანგში, ვიდრე მმართველი ორგანოს წევრები ან თანამშრომლები. განმარტებითი შენიშვნები, რომლებსაც მოითხოვს ეს სტანდარტი, უზრუნველყოფს იმას, რომ გამჭვირვალობის მისაღები მინიმალური დონეები იქნეს გამოყენებული, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისა და მათი ოჯახის ახლო წევრების ანაზღაურების კუთხით.

## **არსებითობა**

22. სსბას 1 მოითხოვს ცალკე განმარტებით შენიშვნებს არსებითი საკითხებისთვის. საგნის არსებითობა განსაზღვრულია მისი ბუნების ან ზომის მიხედვით. როდესაც ხდება დაკავშირებული მხარის ოპერაციების არსებითობის შეფასება, ანგარიშგებ ერთეულსა და დაკავშირებულ მხარეს შორის ურთიერთობისა და ოპერაციების ბუნება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ოპერაცია არსებითია, მისი ზომის მიუხედავად.

## **განმარტებითი შენიშვნები**

23. მრავალ ქვეყანაში კანონები და სხვა ოფიციალური ფინანსური ანგარიშგების წესები მოითხოვს, რომ კერძო სექტორის ერთეულებისა და სახელმწიფო კომერციული საწარმოების ფინანსური ანგარიშგება განმარტავდეს ინფორმაციას დაკავშირებულ მხარეთა გარკვეულ კატეგორიებსა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე. კერძოდ კი ყურადღება გამახვილებულია ერთეულის ოპერაციებზე მის

დირექტორებთან ან მმართველი ორგანოს წევრებთან და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან, განსაკუთრებით კი მათ ანაზღაურებასა და სესხებზე. ეს ხდება: (ა) დირექტორთა, მმართველი ორგანოს წევრებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის საკურატორო პასუხისმგებლობების გამო და (ბ) ვინაიდან მათ აქვთ ფართო აღმასრულებელი უფლებამოსილება ერთეულის რესურსებზე. ზოგიერთ ქვეყანაში, მსგავსი მოთხოვნები შესულია კანონებსა და რეგულაციებში, რომელიც გამოიყენება საჯარო სექტორის ერთეულებისათვის.

24. ზოგიერთი სსბასს ასევე მოითხოვს დაკავშირებულ მხარეებთან. გარიგების გამჟღავნებას. მაგალითად, სსბასს 1 მოითხოვს მაკონტროლებელი ერთეულების, ამავე მაკონტროლებელი ერთეულების სხვა კონტროლირებული ერთეულების, მეკავშირე ერთეულების და სხვა დაკავშირებული მხარეების მიერ გადასახდელი და მისაღები თანხების გამჟღავნებას. სსბასს 38, *განმარტებითი შენიშვნები სხვა ერთეულებში მონაწილეობის შესახებ*, მოითხოვს, რომ ერთეულმა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, გაერკვნენ ეკონომიკური ერთეულის შემადგენლობაში და ანგარიშვალდებული ერთეულისთვის თითოეული მნიშვნელოვანი ერთობლივი შეთანხმებისა და მეკავშირე ერთეულის შესახებ ინფორმაციაში.

### **კონტროლის განმარტებითი შენიშვნები**

25. **დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები, როდესაც სახეზეა კონტროლი, განმარტებული უნდა იყოს იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციებს.**
26. ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის დაკავშირებული მხარის ურთიერთობების შედეგების შესახებ ხედვის ფორმირებისათვის მიზანშეწონილია განმარტებების გაკეთება დაკავშირებული მხარის ურთიერთობებზე, როდესაც არსებობს კონტროლი, მიუხედავად იმისა, სახეზეა თუ არა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის. ეს შესაძლოა გულისხმობდეს განმარტებების გაკეთებას ნებისმიერი კონტროლირებული ერთეულის დასახელების, უშუალო მაკონტროლებელი ერთეულისა და საბოლოო მაკონტროლებელი ერთეულის დასახელების შესახებ, თუ ასეთი არსებობს.

### **განმარტებითი შენიშვნები დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ**

27. **დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციების კუთხით, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც თავს იჩენს ნორმალურ მიმწოდებელს ან კლიენტს/მიმღებს შორის ურთიერთობებში იმ ვადით და პირობებით, რომელიც არ არის მეტად ან ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე პირობები, რომლებსაც ერთეული მოსალოდნელია რომ დაამტკიცებდა ფიზიკურ პირთან ან ერთეულთან ურთიერთობისას „გაშლილი ხელის მანძილის“**

პრინციპით იმავე პირობებში, ანგარიშგებმა ერთეულმა უნდა განმარტოს:

- (ა) დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ბუნება;
- (ბ) ოპერაციების სახეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა; და
- (გ) ოპერაციების ელემენტები, რომლებიც საჭიროა ამ ოპერაციების დანიშნულების დაზუსტების მიზნით და საკმარისია, რათა ფინანსურმა ანგარიშგებამ უზრუნველყოს შესაბამისი და სარწმუნო ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშგების პროცესისათვის.

28. ქვემოთ მოყვანილია იმ სიტუაციების მაგალითები, როდესაც დაკავშირებული მხარეების ოპერაციებს შესაძლოა მოჰყვეს ანგარიშგები ერთეულის განმარტებითი შენიშვნები:

- (ა) მომსახურების მიღება ან გაწევა;
- (ბ) საქონლის შესყიდვები ან მისი გადაცემა/გაყიდვა (დასრულებული ან დაუსრულებელი);
- (გ) აქტივებისა და სხვა აქტივების შესყიდვები ან მისი გადაცემა/გაყიდვა;
- (დ) საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარება;
- (ე) ლიზინგური გარიგებები;
- (ვ) კვლევებისა და გამოგონებების გადაცემა;
- (ზ) სალიცენზიო გარიგებები;
- (თ) ფინანსები (მათ შორის, სესხები, კაპიტალური დაბანდებები, გრანტები ფულადი ან ნატურალური ფორმით და სხვა ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის დანახარჯების გადანაწილების გარიგებები); და
- (ი) გარანტია და თავდებობა.

29. საჯარო სექტორის ერთეულები ერთმანეთთან ფართო მასშტაბის ოპერაციებს ყოველდღიურად ახორციელებენ. ეს ოპერაციები შესაძლოა ხორციელდებოდეს თვითღირებულებით, თვითღირებულებაზე უფრო ნაკლები საფასურით ან უფასოდ. მაგალითად, ადმინისტრაციული მომსახურების სამთავრობო დეპარტამენტმა შესაძლოა ოფისის გადაცემა უფასოდ უზრუნველყოს სხვა დეპარტამენტებისათვის ან საჯარო სექტორის ერთეულმა შესაძლოა იმოქმედოს, როგორც შემსყიდველმა აგენტმა საჯარო სექტორის სხვა ერთეულებისათვის. ზოგიერთ სამთავრობო მოდელში შესაძლოა არსებობდეს მომსახურების მიწოდების მთლიანი თანხის ანაზღაურების შესაძლებლობა. სამთავრობო ორგანოები დაკავშირებული მხარეებია იმიტომ, რომ ისინი საერთო კონტროლის ობიექტები არიან და ეს ოპერაციები ხვდება

დაკავშირებულ მხარეთა ცნებაში. თუმცა, ამ ორგანოებს შორის ოპერაციების შესახებ ინფორმაციის განმარტება არ არის მოთხოვნილი, როდესაც ოპერაციები: (ა) ერთეულებს შორის ნორმალურ საოპერაციო ურთიერთობებს ასახავს, (ბ) განხორციელებულია იმ ვადებისა და პირობების მიხედვით, რომლებიც ჩვეულებრივია ამგვარი ოპერაციებისათვის ამ პირობებში. დაკავშირებულ მხარეთა ამ ოპერაციებზე 27-ე პუნქტის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გაუვრცელებლობა ნიშნავს, რომ საჯარო სექტორის ერთეულები ოპერირებენ ერთობლივად საერთო მიზნების მისაღწევად და წარმოადგენს იმის აღიარებას, რომ შესაძლოა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მექანიზმები იქნეს შემოღებული საჯარო სექტორის ერთეულების მიერ მომსახურების გაწევისათვის. მოცემული სტანდარტი მოითხოვს დაკავშირებული მხარის ოპერაციების განმარტებით შენიშვნებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ოპერაციები არ შეესაბამება ამ ქვეყანაში დადგენილ საოპერაციო პარამეტრებს.

30. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ოპერაციებზე, რომელიც მომავალში საჭიროებს განმარტებას ზოგადი მიზნით წარმოებული ფინანსური ანგარიშგების მიზნების მისაღწევად, ჩვეულებრივ, შეიცავს:

- (ა) იმ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობების ბუნების აღწერას, რომელიც ჩართული იყო ამგვარ ოპერაციებში, მაგალითად, თუ ასეთ ურთიერთობას ადგილი ჰქონდა ერთ-ერთ მაკონტროლებელ ერთეულთან, კონტროლირებულ ერთეულთან, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ ერთეულთან, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან;
- (ბ) ყველა ფართო კლასის ოპერაციის შიგნით დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების აღწერას და კლასების მოცულობის მითითებას, ან სპეციფიკური მონეტარული თანხის სახით ან ამ კლასის ოპერაციების და /ან ბალანსის პროპორციის სახით;
- (გ) დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციების ზოგადი ვადებისა და პირობების მოკლე აღწერას, მათ შორის, განმარტებას, რამდენად განსხვავდება ეს ვადები და პირობები იმ ვადებისა და პირობებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია მსგავსი ოპერაციებისათვის არადაკავშირებულ მხარეებთან; და
- (დ) გადაუხდელ ვალდებულებების თანხებს ან შესაბამის პროპორციებს.

31. წინამდებარე სტანდარტის 34-ე პუნქტი მოითხოვს დამატებითი განმარტებითი შენიშვნების გაკეთებას გარკვეულ ოპერაციებზე ერთეულსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას და/ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრებს შორის.

32. მსგავსი ბუნების პუნქტები შესაძლოა განმარტებული იყოს აგრეგირებული სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განცალკევებული განმარტებითი შენიშვნები აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი და სანდო ინფორმაციის მიწოდება გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის.
33. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში განმარტებითი შენიშვნები არ არის საჭირო ერთეულის წევრებს შორის დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე, რადგან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ინფორმაციას მაკონტროლებელ ერთეულსა და კონტროლირებულ ერთეულზე, როგორც ცალკე ანგარიშგებ ერთეულზე. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, რომელიც შესრულდა ერთეულებს შორის ეკონომიკური ერთეულის ფარგლებში, გამოირიცხება კონსოლიდაციის დროს სსბასს 6-ის შესაბამისად. კაპიტალიზაციის მეთოდით აღრიცხული ოპერაციები მეკავშირე ერთეულებთან არ არის გამოირიცხული და, შესაბამისად, მოითხოვს ცალკე ასახვას, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ განმარტების სახით.

#### განმარტებითი შენიშვნები — უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა

34. ერთეულმა უნდა განმარტოს:
- (ა) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისა და ზოგიერთი ფიზიკური პირის მთლიანი ანაზღაურება, რომელსაც ისინი იღებენ ამ კატეგორიის ფარგლებში და რომელიც განსაზღვრულია, სრული სამუშაო დროის ეკვივალენტის საფუძველზე. ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ძირითადი კლასები, მათ შორის, თითოეული კლასის აღწერა;
  - (ბ) საანგარიშო პერიოდში ანგარიშგები ერთეულის მიერ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისა და მათი ოჯახის ახლო წევრებისათვის გაცემული ყველა სხვა ანაზღაურებისა და კომპენსაციის სრული თანხა. განცალკევებით უნდა იქნეს ნაჩვენები მთლიანი თანხები, რომელიც გაიცა:
    - (i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე;
    - (ii) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრებზე; და
  - (გ) იმ სესხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი იმ პირებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას და სესხებზე, რომელთა ხელმისაწვდომობა არ არის ფართოდ ცნობილი საზოგადოების წევრებისათვის, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის თითოეული ინდივიდუალური წევრისა

და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრისათვის:

- (i) შესაბამისი პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხების ოდენობა, ასევე სესხის ვადები და პირობები;
- (ii) შესაბამისი პერიოდის განმავლობაში გადახდილი სესხების ოდენობა;
- (iii) ყველა გაცემული სესხისა და მოთხოვნის საბოლოო თანხა და
- (iv) თუ პირი არ არის ერთეულის დირექტორი, მმართველი ორგანოს ან მთავარი მმართველი ჯგუფის წევრი, პირის ურთიერთობები ამგვარ ორგანოსთან ან ჯგუფთან.

35. წინამდებარე სტანდარტის 37-ე პუნქტი მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვა საფუძველზე, გარდა „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ერთეულის მიერ და თავსებადია ერთეულის საქმიანობის პირობებთან. წინამდებარე სტანდარტი ასევე მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს გარკვეულ ოპერაციებზე 34-ე პუნქტში განსაზღვრული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ამ ოპერაციებს ადგილი „გაშლილი ხელის მანძილის“ საფუძველზე, ერთეულის საქმიანობის პირობების შესაბამისად.
36. პიროვნებები, რომლებიც შედიან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში, შესაძლოა დაქირავებულნი იყვნენ სრულ ან ნახევარ შტატზე. პირების რაოდენობა, რომლებიც განმარტებულია 34-ე პუნქტის თანახმად, როგორც ანაზღაურების მიმღები, საჭიროებს შეფასებას სრული შტატის ეკვივალენტის საფუძველზე. ერთეულებმა უნდა მოახდინონ ცალკეული განმარტებითი შენიშვნების გაკეთება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ძირითად კლასებზე, რომლებიც მათ ჰყავთ. მაგალითად, როდესაც ერთეულს ჰყავს მმართველი ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია მისი უფროსი მმართველი ჯგუფისაგან, განმარტებითი შენიშვნები ამ ორი ჯგუფის ანაზღაურებაზე ცალ-ცალკე უნდა იქნეს გაკეთებული. თუ ფიზიკური პირი არის როგორც მმართველი ორგანოს, ისე უფროსი მმართველი ჯგუფის წევრი, ამ სტანდარტის მიზნებისთვის აღნიშნული პირი შევა ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთ ჯგუფში. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ცნებით, წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კლასების იდენტიფიცირებისათვის.
37. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შესაძლოა მოიცავდეს პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლის სხვადასხვა

ნაირსახეობას. თუ შესაძლებელია აღნიშნული სარგებლის თანხის განსაზღვრა, ეს თანხა შესული იქნება აგრეგირებული ანაზღაურების განმარტებაში. თუ აღნიშნული სარგებლის თანხის განსაზღვრა შეუძლებელია, ანგარიშვალდებული ერთეულის ან ერთეულებისთვის გაკეთდება საუკეთესო სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და იგი შევა განმარტებულ აგრეგირებულ ანაზღაურებაში.

38. თანამშრომლის სარგებლის შეფასების მოთხოვნები მოცემულია სსბასს 25-ში, თანამშრომელთა სარგებელი. როდესაც არაფულადი ანაზღაურება, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ გაიზომოს, შესულია აღნიშნული პერიოდისათვის განმარტებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების აგრეგირებულ თანხაში, განმარტება ასევე უნდა გაკეთდეს არაფულადი ანაზღაურების შეფასების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

39. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის და მათი ოჯახის ახლო წევრებისთვის გაცემული სესხების შესახებ გარკვეული ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებს სესხის ვადებსა და პირობებზე, როდესაც აღნიშნული სესხი:

(ა) არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც არ შედიან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში; და

(ბ) შესაძლოა ფართოდ ხელმისაწვდომი იყოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ფარგლებს გარეთ, მაგრამ რომელთა არსებობა საზოგადოებისათვის ფართო მასშტაბით არ არის ცნობილი.

ამ ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები მოთხოვნილია საანგარიშგებო მიზნებისათვის. შეფასების გამოყენება შესაძლოა აუცილებელი იყოს მაშინ, როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი სესხის შესახებ უნდა იქნეს წარმოდგენილი განმარტება, რათა დააკმაყოფილოს ამ სტანდარტის მოთხოვნები. ეს შეფასება გამოყენებულ უნდა იქნეს, მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფაქტების განხილვა და იმ მეთოდით, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მიზნების მისაღწევად არის შესაბამისი.

40. აღნიშნული სტანდარტის 34(ა) პუნქტი მოითხოვს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აგრეგირებული ანაზღაურების განმარტებით შენიშვნებს. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან მმართველი ორგანოს დირექტორები ან მმართველი ორგანოს წევრები და უფროსი მმართველი ჯგუფის წევრები. ერთეულის დირექტორებმა ან მმართველი ორგანოს წევრებმა შესაძლოა ერთეულიდან ასევე მიიღონ ანაზღაურება ან კომპენსაცია იმ მომსახურებისათვის, რომელიც მათ გასწიეს სხვა სტატუსით, გარდა: (ა) როგორც ერთეულის დირექტორმა და მმართველი ორგანოს წევრმა ან (ბ) როგორც ერთეულის თანამშრომელმა. წინამდებარე სტანდარტის 34 (ბ) (i) პარაგრაფი

მოითხოვს ამ სხვა ანაზღაურებისა და კომპენსაციის მთლიანი თანხის განმარტებით შენიშვნებს.

41. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო უახლოეს წევრებს სავარაუდოდ, შეუძლიათ გავლენის მოხდენა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირზე, ან შეიძლება თავად მოექცნენ ამ პიროვნების გავლენის ქვეშ ერთეულთან ოპერაციების წარმოებისას. წინამდებარე სტანდარტის 34 (ბ) პუნქტი მოითხოვს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრებისთვის პერიოდის განმავლობაში გადახდილი ანაზღაურების და კომპენსაციის მთლიანი თანხის გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნებში.

### ძალაში შესვლის თარიღი

42. ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებებისთვის, რომლებიც მოიცავს 2004 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდებს. ნებადართულია სტანდარტის გამოყენება უფრო ადრინდელი ანგარიშგებებისათვის. თუ ერთეული სტანდარტს იყენებს 2004 წლის 1 იანვრამდე, მან უნდა განმარტოს ეს ფაქტი.
- 42ა. 43-ე პუნქტი შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.
- 42ბ. მე-4, მე-15, 24-ე და 33-ე პუნქტები შეცვლილია სსბასს 35-ის, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*, სსბასს 37-ის, *ერთობლივი შეთანხმებები* და სსბასს 38-ის, *განმარტებითი შენიშვნები სხვა ერთეულებში მონაწილეობის შესახებ* 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად, ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები, როდესაც იგი გამოიყენებს სსბასს 35-ს, სსბასს 37-ს და სსბასს 38-ს.
- 42გ. 27-ე და 32-ე პუნქტები შეიცვალა *2015 წლის სსბასს-ების გაუმჯობესების* 2016 წლის აპრილში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 42დ. მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულია 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული

ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავნოს აღნიშნული ფაქტი.

- 42ე. 38 პუნქტი შესწორდა 2016 წლის ივლისში სსბასს 39-ის, *დაქირავებულთა სარგებელი*, გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მან უნდა გაამყდავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავედროულად გამოიყენოს სსბასს 39.
43. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

## დასკვნის საფუძველი

*წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 20-ის შემადგენელი ნაწილი.*

**სსბასს 20-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად**

დს.1 **სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა სსბასს-ების გამოყენება. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:**

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

## **მითითებები დანერგვაზე**

*წინამდებარე მითითებები თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 20-ის ნაწილი.*

### **განმარტებითი შენიშვნები - მთავრობა X**

X მთავრობის ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულია შემდეგი ინფორმაცია.

#### *კონტროლირებული ერთეული (25-ე პუნქტი)*

მთავრობა აკონტროლებს შემდეგ ანგარიშგებ ერთეულებს:

მთავრობის დეპარტამენტებს, სამინისტროებსა და სააგენტოებს: განათლების სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფოსტას, მშენებლობის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ხაზინას და ფინანსთა სამინისტროს, X სამინისტროს, XYZ დეპარტამენტს (ახდენს ყველა დეპარტამენტისა და სააგენტოს იდენტიფიცირებას).

სახელმწიფო კომერციული საწარმოები: სახელმწიფო ენერგოკომპანია, სახელმწიფო სატელეკომუნიკაციო სააგენტო (ჩამოთვალეთ ყველა სახელმწიფო კომერციული საწარმო).

(შენიშვნა: სსბასს 6 - *კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები* - მოითხოვს, რომ გარკვეული განმარტებითი შენიშვნები გაკეთებული იყოს მნიშვნელოვან კონტროლირებულ ერთეულებზე.)

#### *დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (27-ე პუნქტი)*

მთავრობის წევრი სახელმწიფოს დედაქალაქში უზრუნველყოფილი იყო სახლით, უფასოდ. მინისტრისათვის აღნიშნული სახლის მსგავსი სახლები, წლის განმავლობაში დაახლოებით Z ფასად ქირავდება. საცხოვრებლის უზრუნველყოფა არ არის მინისტრის ანაზღაურების პაკეტის ნაწილი და მთავრობა, ზოგადად, მინისტრებისათვის არ უზრუნველყოფს უფასო საცხოვრებელს. თუმცა, ამ შემთხვევაში, საჭირო იყო, მომხდარიყო მინისტრის დედაქალაქში საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

მთავრობის სხვა წევრის მეუღლე უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო საშუალებით, უფასოდ. მსგავსი ტიპის მანქანების ქირა წელიწადში ჩვეულებრივ K ერთეულია. მთავრობა, ზოგადად, არ ახდენს მინისტრთა მეუღლეების უზრუნველყოფას უფასო სატრანსპორტო საშუალებით.

#### *უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა (34 -ე პუნქტი)*

##### **ანაზღაურება (პუნქტი 34-ე (ა))**

უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა (როგორც სსბასს 20-შია განსაზღვრული, დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) არის

მთავრობის წევრები, რომლებიც ერთობლივად შეადგენენ X მთავრობის მმართველ ორგანოს. ქვემოთ წარმოდგენილია მთავრობის წევრებისა და იმ პირების განსაზღვრული რაოდენობის აგრეგირებული ანაზღაურება, რომლებიც X მთავრობისაგან იღებენ ანაზღაურებას, სრული განაკვეთის ეკვივალენტის საფუძველზე.

აგრეგირებული ანაზღაურება X მილიონი  
პირების რაოდენობა Y პირი.

**სესხები, რომლებიც არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი (და/ან ფართო მასშტაბით ცნობილი) იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში არ შედიან (34 (გ) პუნქტი).**

ამგვარი სესხების მიღებული და დაფარული თანხები პერიოდის განმავლობაში და ნაშთი პერიოდის ბოლოსთვის ქვემოთ არის გამოკვეთილი:

<u>ფიზიკური პირი</u>	<u>მიღებული</u>	<u>დაფარული</u>	<u>ნაშთი</u>
მისი აღმატებულება ABC	J	K	L
ბატონი VSL	M	N	P
მისი აღმატებულება D	Q	R	Z
მისი აღმატებულება E	S	T	U

### **ვადები და პირობები**

მისი აღმატებულება ABC, ტრანსპორტის მინისტრი, რომელმაც მიიღო სესხი X % -ით წელიწადში, რომელიც არის საბაზრო განაკვეთზე Y %-ით ნაკლები. სესხის ვადა Z წელია.

ბატონი VSL, ჯანდაცვის მინისტრის მეუღლე, რომელმაც მიიღო მთავრობის სესხი. სესხი არის N წლისათვის წელიწადში X % -ით, ამჟამინდელი მთავრობის სესხის განაკვეთით.

მინისტრთა კაბინეტის ხელფასის პაკეტი მისი აღმატებულება D და E-ს ნებას აძლევს, აიღონ მთავრობის სესხი A წლით და წელიწადში Y%-ით, რათა შეისყიდონ მანქანა.

**სხვა ანაზღაურებები და კომპენსაცია უზრუნველყოფილი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის და მათი ოჯახის ახლო წევრებისთვის (34(ზ) პუნქტი).**

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მთავრობის წევრებისთვის მათ მიერ ცალკეული სამთავრობო უწყებებისათვის გაწეული საკონსულტაციო მომსახურებისთვის მთლიანი კომპენსაციის სახით გადახდილი იყო X თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მთავრობამ უზრუნველყო უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრებისათვის მთლიანი ანაზღაურებისა და კომპენსაციის სახით Y თანხა. აღნიშნული თანხა შედგება მთავრობის იმ თანამშრომელთა ანაზღაურებისაგან, რომლებიც მთავრობის წევრების ოჯახის ახლო წევრები არიან.

### **განმარტებითი შენიშვნები - სამთავრობო უწყება XYZ**

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები გაკეთებულია იმ სამთავრობო უწყება XYZ-ის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც დამოუკიდებელი ანგარიშგები ერთეულია.

#### *კონტროლირებული ერთეულები (25-ე პუნქტი)*

უწყება კონტროლდება X სამინისტროს მიერ. X სამინისტრო კონტროლდება X მთავრობის მიერ.

უწყება აკონტროლებს ადმინისტრაციული მომსახურების განყოფილებას, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო კომერციულ საწარმოს (სკს).

(შენიშვნა: სსბასს 6 - *კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* - მოითხოვს, რომ გარკვეული განმარტებითი შენიშვნები გაკეთებული იყოს მნიშვნელოვან კონტროლირებულ ერთეულებზე.

#### *დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (27-ე პუნქტი).*

უწყებამ მინისტრი უზრუნველყო სახლით, უფასოდ. მსგავსი სახლებისათვის ქირა დაახლოებით Z ვალუტის ერთეულია წელიწადში. სახლი არ არის მინისტრის ანაზღაურების პაკეტის შემადგენელი ნაწილი, ხოლო რეგლამენტით სამთავრობო უწყებები არ უზრუნველყოფს მინისტრს საცხოვრებლით. თუმცადა, X მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ამ ვითარებაში მინისტრი სახლით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

#### *უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა (34-ე პუნქტი)*

### **ანაზღაურება (პუნქტი 34(ა))**

XYZ სააგენტოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა (როგორც სსბასს 20-შია განსაზღვრული - *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*) არის მინისტრი, მმართველი ორგანოს წევრები, უფროსი მმართველი ჯგუფის წევრები. მმართველი ორგანო შედგება X მთავრობის მიერ დანიშნული წევრებისაგან, აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი ესწრებიან მმართველი ორგანოს შეხვედრებს, მაგრამ არ არიან მმართველი ორგანოს წევრები. მინისტრის ანაზღაურება არ ხდება XYZ სააგენტოს მიერ. მმართველი ორგანოს აგრეგირებული ანაზღაურება და წევრების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია სრული შტატის ეკვივალენტის საფუძველებზე და რომლებიც იღებენ ანაზღაურებას ამ კატეგორიის ფარგლებში, ქვემოთ არის მოყვანილი:

აგრეგირებული ანაზღაურება AX მილიონი;

პირების რაოდენობა AY პირი.

უფროსი მმართველი ჯგუფი შედგება სააგენტოს ადმინისტრაციული დირექტორისაგან, ფინანსური დირექტორისა და განყოფილების AZ ხელმძღვანელებისგან. უფროსი მმართველი ჯგუფისა და მენეჯერების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია სრული შტატის ეკვივალენტის საფუძველზე და ამ კატეგორიის ფარგლებში იღებენ ანაზღაურებას:

აგრეგირებული ანაზღაურება AP მილიონი;

პირების რაოდენობა AQ პირი.

ორი განყოფილების ხელმძღვანელი მივლენილია X დეპარტამენტიდან და იღებენ ანაზღაურებას X დეპარტამენტიდან.

**სესხები, რომელიც არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი (და/ან ფართო მასშტაბით არ არის ცნობილი) იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას არ მიეკუთვნებიან (34-ე (გ) პუნქტი).**

მიღებული და დაფარული თანხები აღნიშნული პერიოდისათვის და ნასთი პერიოდის ბოლოსათვის არის:

<u>ფიზიკური პირი</u>	<u>მიღებული</u>	<u>დაფარული</u>	<u>ნაშთი</u>
მინისტრი	J	K	L
ბატონი G	M	N	P
ქალბატონი H	Q	R	Z

### **ვადები და პირობები**

მინისტრი, რომელმაც სესხი მიიღო J რაოდენობით, წელიწადში X%-ით, არის საბაზრო განაკვეთზე Y% -ით ნაკლებია. სესხის ვადა არის Z წელი.

უმაღლესი რანგის თანამშრომლების ხელფასის პაკეტი ბატონ G -ს და ქალბატონ H-ს, შესაძლებლობას აძლევს, აიღონ მთავრობის სესხი წელიწადში Y%-ით, N წლამდე ვადით მანქანის შესასყიდად.

### **ანაზღაურება და კომპენსაცია უზრუნველყოფილი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრებისთვის (34(ბ) პუნქტი)**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, F თანხის ანაზღაურება და კომპენსაცია უზრუნველყოფილი იყო უწყების მიერ იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ოჯახის ახლო წევრები არიან.

## ბასს 24-თან შედარება

ბასს 20 ძირითადად ეფუძნება ბასს 24-ს (ფორმატი განახლდა 1994 წელს). ბასს 20 -სა და ბასს 24-ს შორის ძირითადი განსხვავებები შემდეგია:

- ბასს 20 -ის სტრუქტურა არსებითად განსხვავდება ბასს 24-ისგან;
- ბასს 20-ში არ არის გაზიარებული ის მიდგომა, რომელიც გულისხმობს ბასს 24-ის მოქმედების ფარგლებიდან ერთობლივ მფლობელობაში მყოფი შვილობილი ერთეულების გამორიცხვას, როდესაც სათავო ერთეულის ადგილსამყოფელი იმავე ქვეყანაშია და უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას.
- კომენტარები, რომლებიც ახდენს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის იდენტიფიცირებას, ბასს 24-ში შესულია სსბასს 20-ის „უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის“ ფორმალურ განმარტებაში. სსბასს 24 - ის კომენტარები მოიცავს ოჯახის ახლო წევრებს, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის განმარტებები სსბასს 20-ში არ შეიცავს ოჯახის ახლო წევრებს.
- „დაკავშირებულ მხარეთა“ განმარტება სსბასს 20-ში მოიცავს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებს, რომლებიც მხოლოდ ბასს 24-ის კომენტარებშია აღნიშნული.
- სსბასს 20 შეიცავს „უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების“ განმარტებებს. ბასს 24 არ შეიცავს ამგვარ განმარტებებს.
- ბასს 20-ში შესულია დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია: (ა) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან და მათ ოჯახის ახლო წევრებთან; და (ბ) გარკვეულ სხვა ოპერაციებთან ერთეულსა და მისი უმაღლესი რანგის პერსონალსა და მათ ოჯახის ახლო წევრებს შორის.
- გარდა ანაზღაურებასთან დაკავშირებული ლიმიტირებული განმარტებითი შენიშვნებისა და სხვა გარკვეული ზუსტად განსაზღვრული ოპერაციებისა, რომელიც უკავშირდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას, სსბასს 20 არ მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს, დაკავშირებულ მხარეთა იმ ოპერაციების შესახებ, რომელთა წარმოება ნორმალურ ვადებსა და პირობებში ხდება. ბასს 24-ს აქვს უფრო შეზღუდული გამოწვევის დამატებითი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე, რომლებიც ხორციელდება მხარეთა შორის ჩვეულებრივი ურთიერთობის დროს.
- სსბასს 20 იყენებს განსხვავებულ ტერმინოლოგიას, სსბასს 24-თან შედარებით. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი არის ტერმინი „მმართველი ორგანოს წევრების“ გამოყენება სსბასს 20-ში. მისი ეკვივალენტური ტერმინი ბასს 24-ში არის „დირექტორი“.